

**საბანკო საქმის საფუძვლები I, II კურსი**  
**I, II სემესტრი. 2018-2019 წელი. (გიორგი ცაავა)**  
**შუალედური გამოცდის ნიმუში**

**Question 1**

რომელ ქალაქში და რომელ წელს შეიქმნა პირველი ბანკი მსოფლიოში?

Select one:

- a. ე. იერუსალიმში 1409 წელს;
- b. ე. გენუაში 1407 წელს;
- c. ე. პალერმოში 1408 წელს;
- d. არცერთი პასუხი სწორი არ არის.

**Question 2**

სებ-ის მონეტარული ინსტრუმენტის – ერთდღიანი სესხების კომერციულ ბანკებზე გაცემისას მის უზრუნველსაყოფად არ შეიძლება გამოყენებული იქნეს:

Select one:

- a. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;
- b. ბანკების საზედამხედველო კაპიტალი.
- c. ბანკების სასესხო აქტივები;
- d. საერთაშორისო საბანკო გარანტიები;

**Question 3**

საბანკო ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილ შუამდგომლობას ჩამოთვლილთაგან რომელი დოკუმენტი არ უნდა ერთვოდეს?:

Select one:

- a. დამფუძნებელთა კრების ოქმი;
- b. ბანკის ნოტარიულად დამოწმებული საკრედიტო ხელშეკრულება;
- c. ბანკის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
- d. ბანკის რეგისტრაციის შესახებ სასამართლო დადგენილების ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

**Question 4**

ფულადი მულტიპლიკატორი ტოლია:

Select one:

- a.  $(1-d)/(d+c)$ .
- b.  $(1+c)/(d+c)$ ;
- c.  $1/(d+c)$ ;
- d.  $1-(d+e)/(d+e+c)$ ;

### Question 5

კრედიტის ფორმა, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ გაიცემა არის:

Select one:

- a. საბლანკო კრედიტი;
- b. კონტოკორენტული კრედიტი;
- c. ლომბარდული კრედიტი.
- d. ოვერდრაფტი;

### Question 6

საერთო ღია სავალუტო პოზიცია არის:

Select one:

- a. პოზიცია, როდესაც სხვადასხვა სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- b. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური ვალუტით ბანკის აქტივები ნაკლებია მის ვალდებულებებზე;
- c. პოზიცია, როდესაც ერთსა და იმავე სახეობის უცხოური და ეროვნული ვალუტით ბანკის აქტივები და ვალდებულებები ტოლია.
- d. ბანკის ყველა უცხოური ვალუტის მიხედვით გრძელი ღია სავალუტო პოზიციების ჯამსა და მოკლე ღია სავალუტო პოზიციების ჯამს შორის უდიდესი;

### Question 7

ფაქტორინგის დროს:

Select one:

- a. 1–2 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 70%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 30%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- b. 2–3 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ.
- c. 4–5 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 90%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 10%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;
- d. 3–4 დღის განმავლობაში ხორციელდება მოთხოვნათა 80%-მდე საფასურის გადახდა ავანსის სახით, ხოლო დარჩენილ 20%-ს კლიენტი იღებს გადამხდელისაგან თანხის შემოსვლის შემდეგ;

### Question 8

თუ კომერციული ბანკის საზედამხედველო კაპიტალის მოცულობა შეადგენს 800 მლნ ლარს, მაშინ მის მიერ ერთი პირისათვის გაცემული სესხებისა და სხვა ვალდებულებების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

Select one:

- a. 90 მლნ ლარს;
- b. 180 მლნ ლარს.



c. 120 მლნ ლარს;



d. 140 მლნ ლარს;